საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს თარგმანი, რომელიც ლექსიკის სიმდიდრითა და ქართული ენის კარგი ცოდნით გამოირჩევა.

„Refranero. ესპანური ანდაზების მცირე კრებული“ მნიშვნელოვანი შენაძენია ფოლკლორისტების, ლინგვისტების, ლიტერატურათმცოდნეების, ეთნოლოგებისა და, ზოგადად, კულტურის ანთროპოლოგების ფართო წრისათვის.

ელენე გოგიაშვილი

რევაზ გორდეზიანი. „ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური ძიებები გერმანულ ექსისტენციალიზმსა და აღმოსავლეთში (ძენ-ბუდიზმი)“, „უნივერსალი“, თბ., 135 გვ.

რევაზ გორდეზიანი, რამდენადაც ვიცი, ერთადერთია ქართველ ფილოსოფოსთა შორის, რომელიც ინტერესდება მარტინ ბუბერის ანთროპოლოგიური ნააზრევით, საკუთრივ მისი წვლილით ეკსისტენციალურ ფილოსოფიაში, და მეორე მხრივ, მისი დამოკიდებულებით ამ მიმართულების მესვეურებთან (კირკეგორი, ფოიერბახი, ჰაიდეგერი).

ამ მცირე მოცულობის ნაშრომში არ უნდა მოველოდეთ მარტინ ბუბერის წყაროთა ამომწურავ ანალიზს, მაგრამ რაც აქ არის თქმული, ისიც სავსებით ცხად სურათს გვაძლევს ამ ორიგინალური ფილოსოფოსის სააზროვნო ამოსავალზე, მის გზაზე და საბოლოო ეტაპზე. გერმანელ ავტორებზე არა ნაკლები, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი, ნამდვილად გადამწყვეტი წვლილი მისი სააზროვნო პოზიციის ფორმირებაში ეკუთვნის სრულიად უნიკალურ მოვლენას, როგორიც არის ხასიდიზმი, რომელიც შეიძლება ითქვას, მისი აღმოჩენილია ინტელექტუალური სამყაროსთვის. ამ თავისი ბუნებით ფოლკლორულ მემკვიდრეობას და მის გააზრებას ეფუძნება მისი ნაშრომი Ich und Du („მე და შენ“), რომლის ანალიზს ეთმობა ნარკვევის მნიშვნელოვანი მონაკვეთი. შედარებით ვრცლად არის საუბარი ბუბერის ფილოსოფიის ისეთ არაორდინალურ კატეგორიაზე, როგორიც არის *მიმართება*, როგორც თვითკმარი რამ, რამდენადაც „ადამიანი თავის თავი ხდება მხოლოდ „მე-შენის“ მიმართებაში და მისივე მეშვეობით“. საბოლოოდ, ადამიანი იმდენად არის „მე“, რამდენადაც მას შესწევს უნარი, თქვას „შენ“, ანუ დაამყაროს ყველაზე უშუალო მიმართება, როგორიც კი შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს. რადგან „მესა“ და “შენს“ შორის ვერავინ მესამე ვერ ჩადგება. ობიექტურად ეს არის მიზანი და შედეგი შეხვედრისა, რომელიც ბუბერისთვის სრულიად არაორდინალურად ასევე კონცეპტუალურ დონემდეა აყვანილი (გავიხსენოთ მისი ავტობიოგრაფიული ნაწერი Die Begegnung).

ბუბერმა, რომლის ფილოსოფიის მიზანი ადამიანის არსების წვდომა იყო, გამოძებნა შუალედური მოდუსი უპერსპექტივო ინდივიდუალიზმსა (კირკეგორი, ჰაიდეგერი) და კოლექტივიზმს შორის. პირველი პოზიცია ააშკარავებს ადამიანის ჩიხურ მდგომარეობას, მის იზოლაციას ყველასგან და ყველაფრისგან, მეორე – შთანთქმა-გათქვეფას კოლექტივში, man-ის საუფლოში. ორივე პერსპექტივა ძირშივე ეწინააღმდეგება და აღარიბებს ადამიანის არსებას, როგორადაც ის წარმოდგენილია თუნდაც იუდაისტურ (ბიბლიურ) რელიგიაში და ადამიანის შეურყვნელ ინტუიციაში. ავტორი აჩვენებს (გვ. 73), რომ ბუბერი ამოდის ადამიანთა შორის თავდაპირველი ერთობიდან, რაც ჰაიდეგერისთვის არსებითი არ არის (მისთვის ერთობა მხოლოდ და მხოლოდ man-შია შესაძლებელი). თითქოს ჰაიდეგერს მხედველობიდან გამორჩა ეს თავდაპირველი ერთობა, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ჰაიდეგერის გული დახურული იყო ამ ერთობისთვის. მეორე მხრივ, უფრო ადრე კირკეგორმა ეს ერთობა სხვაგან ვერსად მოიაზრა, თუ არა ბრბოში. აქ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ადამიანის (ინდივიდის) კირკეგორისეულ აბსოლუტთან წინადგომას და ჰაიდეგერის ათეიზმს. შედეგი ერთია: ანთროპოლოგიური კრიზისი კრიზისადვე რჩება. ამიტომაც საკითხი, თუმცა ის დასმულია, კვლავ ღიად დარჩა და ბუბერი, როგორც ჩვენი ავტორი აჩვენებს, წინ დგამს ერთ გადამწყვეტ ექსისტენციალურ ნაბიჯს: ბუბერი წვდება მესა და შენს შორის არსებული რეალობის სტრუქტურას (ბუნებას), რომელიც წარმოშობილია მესა და შენის – თითოეული მათგანის ერთმანეთში ტრანსცენდირების, ანუ სხვაგვარად, მათი შეხვედრის შედეგად. რამდენადაც განუსაზღვრელია ამ ორმაგი ტრანსცენდირების შედეგად წარმოშობილი რეალობის სიტყვიერ-გრამატიკული ფორმა (zwischen „შორის“ არ არის არსებითი სახელი, თუმცა მოითხოვს ასეთად ყოფნას – გასუბსტანტივებას), ამდენადვე მოუხელთებელია ეს რეალობა, იგი არ ექვემდებარება ლოგიკურ ანალიზს (ჩანს, ამ მიზეზით ჩაუარა მას გვერდი გერმანელმა ექსისტენციალისტმა). ეს ბუბერის სფეროა, ეს მისი სტიქიაა, რომელსაც ეპოქალური წიგნი Ich und Du მიეძღვნა. წიგნი „ამტკიცებს“, რომ მთავარი ის კი არ არის, რომ ადამიანი მხოლოდ რაციონალური (ლოგიკური) არსება არაა, არამედ მთავარი ის არის, რომ ირაციონალური მომენტი ადამიანში სპეციფიკურ ადამიანურად მივიჩნიოთ, მის ორგანულ კონსტიტუციურ მომენტად ვაღიაროთ.

ზედმეტია იმის თქმა, თუ რაოდენ აქტუალურია დღეს დიალოგის განსაკუთრებული საჭიროების ეპოქაში ის პრობლემატიკა, რომელიც მარტინ ბუბერის შემოქმედების მთავარ თემას წამოადგენს. ამიტომაც მისი, როგორც ექსისტენციალური ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემ-

დებლის. შემოქმედების კვლევა, შეიძლება ითქვას, თანამედროვეობის გამოწვევაც არის. რ. გორდეზიანი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ბუბერის, როგორც მოაზროვნის, ფორმირებაზე, ამიტომაც მას ამ სივრცით შეზღუდულ ნაშრომში უხდება მისი ბიოგრაფიული ქარგის მიმოხილვაც. რამდენადაც ბუბერი იმ ტიპის მოაზროვნეა, რომლის ცხოვრება (შეხვედრები, გამოცდილება) მისი შემოქმედების წყაროდაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, უფრო მეტადაც, ვიდრე განსწავლულობა. ამაოდ არ ამახვილებს ნაშრომის ავტორი მოაზროვნის ნეგატიურ დამოკიდებულებაზე კლასიკური ფილოსოფიის ცხოვრებისგან განყენებული პრობლემატიკისადმი. მისი ინტერესები იხრებოდა „სოცოცხლის ფილოსოფიისკენ", ისევ და ისევ მისი განათლებიდან გამომდინარე გერმანელი ავტორებისკენ (ფ. ნიცშე, გ. ზიმელი, ვ. დილთეი) და, რასაკვირველია, მას მხედველობიდან არ გამორჩენია კირკეგორი, მისი „აღფრთოვანების ახალი წყარო". მაგრამ, როგორც ნაშრომის ავტორი აღნიშნავს, ბუბერისთვის „რაიმე ფილოსოფიურ პრობლემად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა იგი ეხება არა ადამიანის ინტელექტუალურ ინტერესებს, თეორიულ-მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროს, არამედ მთლიან ადამიანს, მის სასიცოცხლო ინტერესებს" (გვ. 11).

ნაშრომის მეორე ნაწილი ეძღვნება სულიერ გამოწვევას სხვა სამყაროდან, აღმოსავლეთიდან. თუ გერმანული ექსისტენციალიზმის ბუბერისეულ განშტოებაზე ხასიდიზმს ჰქონდა ძლიერი გავლენა, კარლ იასპერსის ექსისტენციალიზმი ძენ-ბუდიზმის იდეებით მდიდრდება. პოპულარობით და, შესაძლოა, დასავლეთისათვის ნიშანდობლივი ესთეტიზმის კუთხით ხაზიდიზმი ვერ უწევს მეტოქეობას ბუდიზმის განშტოებას ძენ-ბუდიზმს. შესაძლოა, მისი უნივერსალობის გამო ეს უკანასკნელი უფრო შეეთვისა დასავლურ სულიერ გამოცდილებას, ხასიდიზმი კი, გარკვეული მიზეზების გამო, მარგინალურ სულიერ მოვლენად რჩება და ერთადერთი ბუბერია მისი წარმომადგენელი და მესიტყვე. თუმცა ზოგიერთი კულტურული და ჩვეულებითი, თუნდაც მენტალობითი, სხვაობის მიუხედავად ძენ-ბუდიზმი (დაისეცუ ტეიტარო სუძუკის ინტერპრეტაციით) და ხასიდიზმი ერთმანეთთან აშკარა ნათესაობას ავლენენ. ორივეში – ერთში (ხასიდიზმში) მარტინ ბუბერმა, მეორეში (ძენ-ბუდიზმში) კარლ იასპერსმა ექსისტენციალიზმისთვის ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვეს. ექსისტენცის (ადამიანის) რეალობას, რასაც ევროპული ექსისტენციალიზმი თავისი ენით (ტერმინოლოგიით) აღწერს, ზენ-ბუდიზმი და ხასიდიზმი – თითოეული თავისი ტრადიციიდან ამოსვლით აფუძნებენ. რა არის საერთო ნიშნული, რითაც ეს ორი მოძღვრება დასავლურ „ირაციონალიზმს" უწვდის ხელს? „ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე მან თავის შესახებ იცის", მოიშველიებს ამის საპასუხოდ რ.

გორდეზიანი. იასპერსის დებულებას, რომელიც ფორმალურად ჩამოჰგავს ბერძნული აკადემიის რაციონალისტურ დევიზთან („შეიცან თავი შენი“), თუმცა მასთან საერთო არაფერი აქვს. რ. გორდეზიანი თქმით, იასპერსის ეს გამონათქვამი გულისხმობს, რომ „ადამიანი არის მათთვის (გერმანელი ექსისტენციალისტებისთვის, ზ.კ.) მთელ სამყაროში ერთადერთი, უნიკალური არსება, რომლის წვდომა, ექსისტენციალური განათება რაციონალიზმისა და ირაციონალიზმის გაერთიანებას მოითხოვს. ადამიანის „დაფარული“ ბუნების გამჟღავნება გულისხმობს, როგორც იმის გათვალისწინებას, რაც ადამიანმა რაციონალურად იცის თავის შესახებ და აგრეთვე იმის გათვალისწინებაც, რაც და როგორც ექსისტენციალურად ნათდება“ (გვ. 82). რას იტყვის ამაზე ძენ-ბუდიზმის მესიტყვე სუძუკი? „ექსისტენციალური განათება“ არ არის მისი სიტყვა, მაგრამ რასაც ის ამბობს ადამიანზე თავისი სიტყვით, უთუოდ მისი შესატყვისი უნდა იყოს. შესაძლოა, ეს სიტყვა „გამოღვიძება“, რომლის ეფექტი „ექსისტენციალური განათების“ ანალოგიურია (გვ. 101). როცა რ. გორდეზიანი ამბობს, რომ „ძენ-ბუდიზმისთვის ადამიანის შინაგანი ბუნება ისევე იდუმალი და მიუწვდომელია როგორც ექსისტენცი ექსისტენციალებისთვის“ (გვ. 105), წვდომის საშუალება სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ერთისთვის „ექსისტენციალური განათება“, მეორისთვის „გაღვიძება“, ან უფრო საკუთრივი ტერმინით *სატორი*, ანუ „სულიერი წამიერი განათება“, რისი მიღწევაც ადამიანის ამქვეყნიური მიზანია. ეს მიზანი ძევს ხასიდიზმში და, რაც არსებითია, ანალოგიური ვერბალური გამოხატულებით: ეს არის ყოველ ადამიანში მყოფი „ღვთიური ნაპერწკალი“, რომელიც მისგან გათავისუფლებას მოელის. მაგრამ, დასავლური და იაპონური „ექსისტენცილიზმისგან“ გამსხვავებით, რომელიც ათეისტურია, ხასიდური *ჰითლაჰავუთი* (მგზნებარება, ექსტაზი) რელიგიურია, მაგრამ ეს რელიგიურობა სპონტანურია, არ არის წიგნური კულტურით ნასაზრდოები.

მთელი ნაშრომის მანძილზე რ. გორდეზიანს ჰქონდა მცდელობა, რაც წარმატებით დაგვირგვინდა, რომ აღმოეჩინა საკაცობრიო ერთიანი ზროდან განშტოებულ მიმდინარეობებში საერთო ნიშანი, რამაც ერთმანეთს დააახლოვა, ერთი მხრივ, სამი ევროპელი მოაზროვნე და, თავის მხრივ, ეს სამი – ძენ-ბუდიზმის იდეოლოგთან. რა არის ეს ნიშანი? ეს არის, როგორც ავტორი სახელდებს, „მეორედ დაბადების დიადი პრობლემა“, რაც სხვა არაფერია, თუ არა „თავისთავთან მისვლის“, პიროვნების მიერ *თავისი ნამდვილის* აღმოჩენის პრობლემა. ამ პუნქტში ამ მიმდინარეობებს ფესვი აშკარად (ზოგიერთისთვის ნეფსით, ზოგიერთისთვის უნებლიეთ) რელიგიაში უდგათ.

ზურაბ კიკნაძე